

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 11

ქ.ვანი თავისუფლების N65

8 მაისი 2018 წელი

11³⁰ : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: შოთა გიორგაძე, გია ხარაბაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი -
ივანე მამფორია.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების
მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე .

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა.

მომხს: /ივანე მამფორია/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

3.ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სარეზერვო ფონდიდან 3 თვის განმავლობაში გამოყოფილი თანხების შესახებ.

მომხს:/ივანე მამფორია/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა და მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N38 დადგენილებით. 2018 წლის 3 თვის განმავლობაში ბიუჯეტში 4-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები, რის შედეგადაც შემოსულობები დაზუსტდა 10700.8 ათასი ლარის, გადასახდელები 13558.5 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება - 2857.7 ათასი ლარის მოცულობით.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა და მზარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვას.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 570,0 ათასი ლარით, რაც განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N952 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გორა-უხუთის გზის რეაბილიტაციისათვის დამატებით გამოყოფილი 570,0 ათასი ლარის ბიუჯეტში ასახვით. ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი სახის კორექტირებები:

ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები იზრდება 570,0 ათასი ლარით გორა უხუთის რეაბილიტაციისათვის. საკუთარი შემოსავლებიდან დაგეგმილი გადასახდელები ტენდერში წარმოშობილი ეკონომიის ხარჯზე მცირდება 5,0 ათასი ლარით.

ბ) ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანების დაფინანსება იზრდება 8,0 ათასი ლარით, პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროგრამის განხორციელების პროგრამის განხორციელების მიზნით 5,0 ათასი ლარით სხვა ხარჯებისათვის.

გ) ახალგაზრდული, კულტურული და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსებიდან ტურიზმის მიმართულების გათვალისწინებული თანხები მცირდება 15,0 ათასი ლარით.

გ) ა(ა) იპ ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებისათვის გამოიყოფა 15,0 ათასი ლარი.

დ) სარიტუალო დახმარების პროგრამა მცირდება 10,0 ათასი ლარით.

ე) სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა იზრდება 10,0 ათასი ლარით.

ვ) მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება მცირდება 3,0 ათასი ლარით.

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და ცვლილება შევიდეს „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 3/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სარეზერვო ფონდიდან 3 თვის განმავლობაში გამოყოფილი თანხების შესახებ და მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ სამი თვის განმავლობაში გამოყოფილი თანხა შეადგენს 19,550 ლარს რომელიც დაიხარჯა მიზნობრივად სხვადასხვა დანიშნულებებზე კერძოდ;

მკურნალობის ხარჯების დასაფინანსებლად, ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე, მედიკამენტების შესაძენად, სოფ. ონჯოხეთის გზის მეწყერის შედეგად დაზიანებული მონაკვეთის გაწმენდისთვის, ამაღლება -საპრასიის დამაკავ. გზის ჩახერგილი მონაკვეთის გასაწმენდათ, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის, უხუთის საავთ. გზის

გაწმენდითი სამუშაოებისათვის, დაკრძალვის ხარჯის დასაფარად და ასევე ოპერაციის დასაფინანსებლად.

გადაწყვეტის:

კომისიამ მოიწონა მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სარეზერვო ფონდიდან 3 თვის განმავლობაში გამოყოფილი თანხებს.

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 4/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე